

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

სასწავლო კურსის სილაბუსი

სასწავლო კურსის სახელწოდება	უცხო ენა (ინგლისური) – B1.2
სამიზნე ჯგუფი:	ნებისმერი ინდივიდი, რომელსაც სურს ზოგადი და პეოფესიული უნარების განვითარება
ავტორი	ინგა დიაკონიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მობ: 577187788; ელ.ფოსტა: inga.diakonidze@gtuni.edu.ge
კურსის ღირებულება:	300 ლარი
კურსის ხანგრძლივობა	15 კვირა
	საკონტაქტო საათების რაოდენობა კვირაში -3
სასწავლო კურსის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული	გთუნი-ს ტრეინინგისა და კონსალტინგის ცენტრი

1. სასწავლო კურსის მიზნები

კურსის მიზანია სტუდენტი დაეუფლოს ინგლისური ენის B1.2 დონის (კითხვა, წერა, მოსმენა და საუბარი) ენობრივ კომპეტენციას. კომუნიკაციური მეთოდით სწავლების მეშვეობით ხდება, როგორც პროდუქტიული, ისე რეცეპტული უნარების განვითარება და ზეპირი და წერიტი მეტყველების აქტიური დაუფლება.

კითხვა: სტუდენტმა შეძლოს ინგლისურენოვანი B1.2 დონის ნაცნობი ტექსტის წაკითხვა შესაბამისი კითხვის წესებისა და ინტონაციის დაცვით; ტექსტიდან შესაბამისი ვერბალური ინფორმაციის ამოღება და თხრობა.

საუბარი: სტუდენტს გამოუმუშაოს საუბრის უნარ-ჩვევები, ჩამოუყალიბოს ვერბალური კომუნიკაციის პროცესში ლექსიკური მარაგის გამოყენებისა და ინგლისურ ენაზე კრიტიკული აზროვნების და მსჯელობის უნარ-ჩვევები; გამოუმუშაოს გრამატიკულად სწორი მეტყველების მყარი უნარ-ჩვევები და მოახდინოს ამ უნარ-ჩვევების ავტომატიზაცია.

მოსმენა: ჩამოუყალიბოს მოსმენის უნარ-ჩვევები, რათა შეძლოს გაიგოს უცხოენოვან თანამოსაუბრეთა შორის მიმდინარე ინტერაქცია (დიალოგი, ინტერვიუ, მონოლოგი) ყოფით თემებზე.

წერა: ჩამოუყალიბოს უნარ-ჩვევები მართლწერის წესების დაცვით, სასწავლო თემატიკის ფარგლებში შეადგინოს სხვადასხვა ხასიათის წერილი, დაახასიათოს ადამიანი/გარემო, დაწეროს ესე მის მიერ მოძიებული საჭირო ინფორმაციის საფუძველზე.

გრამატიკა: აღჭურვოს ინგლისური ენის (B1.2 დონის შესაბამისი) გრამატიკული სტრუქტურების ცოდნით.

ლექსიკა: განავრცოს სტუდენტის ლექსიკური მარაგი B1.2 დონის შესაბამისი თემატიკის ფარგლებში.

2. სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები:

აღნიშნული კურსის შესწავლამდე სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს უცხო ენა II ნაწილი ან B1.1. დონის ინგლისური ენის კურსი და მიღებული დადებითი შეფასება.

3. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები:

სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ ბაკალავრს შეეძლება:

ცოდნა და გაცნობიერება: B1.2 დონის სხვადასხვა თემატიკის ირგვლივ ლექსიკური მარაგის დამახსოვრება (ქალაქები, ჯანმრთელობა, გართობა, ტელევიზია, ბუნება და გარემო და ა.შ.).

შემდეგი გრამატიკული სტრუქტურების დემონსტრირება: პირობითი წინდადებები, მოდალური ზმნები, დამოკიდებული წინდადების ტიპები და ა.შ.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: კურსის გავლის შემდეგ ბაკალავრს შეუძლია:

საუბარი: სხვადასხვა საყოფაცხოვრებო თემატიკის ირგვლივ (ქალაქები, ჯანმრთელობა, საყიდლებზე წასვლა, ტელევიზია, ბუნება და გარემო) ლექსიკური და გრამატიკული ნორმატივების დაცვით. საკუთარი მოსაზრების გამოხატვა კონკრეტული საკითხის გარშემო (განვლილი თემატიკის ფარგლებში) ენობრივი სტილის დაცვით. კითხვების დასმა, დიალოგის გამართვა, სიმულაცია და როლური გათამაშება, პრობლემურ საკითხებზე მსჯელობა - კამათი(მონოლოგიური/ დიალოგიური, მოცემულ სიტუაციაზე მოთხოვნის აგება, სურათის აღწერა და აქტუალურ თემებზე მოკლე პრეზენტაციის გაკეთება B 1.2 დონის კომპეტენციების ფარგლებში.

კითხვა: საშუალო სირთულის B 1.2 დონის შესაბამისი მხატვრული, ინფორმაციული და სხვა ხასიათის ტექსტის წაკითხვა და შინაარსის გაგება; კითხვის სხვადასხვა სახის ფლობა: ჩუმი კითხვა, სწრაფი კითხვა, გაცნობითი, შერჩევითი და ინტენსიური კითხვა.

წერა: ორთოგრაფიულად, გრამატიკულად და აზრობრივად სწორად წერის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება (დაწეროს ოფიციალური წერილი და CV, სტატია და რეცენზია). სტუდენტი შეძლებს წერისას გამოიყენოს ნასწავლი ლექსიკურ ერთეულები, ტექსტის ამა თუ იმ სახეობის სტრუქტურული მახასიათებლები, გამოთქმები, კლიშეები, ენობრივი კონსტრუქციები.

მოსმენა: აუთენტური ინგლისური მეტყველების გაგება, ყურადღების კონცენტრაციის უნარის გაუმჯობესება, მოსმენილი მასალიდან ზოგადი და კონკრეტული ინფორმაციის გაგება და მისი შინაარსის გადმოცემა (საყოფაცხოვრებო თემატიკის ფარგლებში). უცხოენოვან თანამოსაუბრეთა შორის ყოფით თემებზე მიმდინარე ინტერაქციის გაგება (დიალოგი, მონოლოგი, ინტერვიუ) მოკლე ინსტრუქციები, შეტყობინებები, განცხადებები; ზოგადი შინაარსის გასაგებად ნაცნობ სიტყვებზე დაყრდნობით ამოიგნოს საკომუნიკაციო სიტუაცია, კონტექსტი, საუბრის თემა; ამოკრიბოს საჭირო ფაქტობრივი ინფორმაცია (ვინ, სად, როდის, რა, როგორი, რამდენი, რომელი, როგორ, რატომ და სხვა).

ინგლისური ენის შემდეგი **გრამატიკული სტრუქტურების:** პირობითი წინდადებები, მოდალური ზმნები, დამოკიდებული წინდადების ტიპები და ა.შ. სწორად გამოყენება.

ლექსიკა: B1.2 დონის შესაბამისი ლექსიკური მარაგის გამოყენება.

კომუნიკაციის უნარი

კომუნიკაციის დამყარება თანამოსაუბრესთან და აუდიტორიასთან B1.2 დონეზე წერილობით და ვერბალურად.

სწავლის უნარი

ნასწავლი თემატიკის ირგვლივ ინგლისურენოვანი ტექსტების მოძიება და ლექსიკური მარაგის გამდიდრება

4. სასწავლო კურსის აღწერა და შინაარსი:

უცხო ენა II ნაწილი - მოიცავს ენის სწავლების ოთხივე უნარის კითხვის, წერის, მოსმენისა და საუბრის B1.2 დონეს. კურსი გთავაზობს ინგლისური ენის ლექსიკისა და გრამატიკის კომპლექსურ სწავლებასა

და ინგლისურად მეტყველების ზოგადი უნარების განვითარებას. *გრამატიკაში* - ზმნების უპირო ფორმების ფუნქციების გაცნობას, პირდაპირი და ირიბი ნათქვამის სწავლებას, პირობითი წინადადეგების გაცნობას. *კითხვაში*- ტექსტის გაგებას და მასში მთავარი იდეის დადგენას, კითხვით ტექსტის სრულყოფას, თხრობის ჩვევების გაუმჯობესებას. *საუბარში*- შემდეგი თემების ირგვლივ (ქალაქები, ჯანმრთელობა, საყიდლებზე წასვლა, ტელევიზია, ბუნება და გარემო) სასაუბრო უნარ-ჩვევების გაღრმავებას. *მოსმენაში*- მოსმენილი მასალიდან (დიალოგი, მონოლოგი, ინტერვიუ) ზოგადი და კონკრეტული ინფორმაციის გაგებას და მისი შინაარსის გადმოცემას. *წერაში*- ორთოგრაფიულად, გრამატიკულად და აზრობრივად ოფიციალური წერილისა და CV-ს, სტატიისა და რეცენზის წერას.

5. სასწავლო ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა:

ძირითადი:

Malcolm Mann, Steve Taylore-Knowels. Laser B 1+ (Student’s book, Workbook) Macmillan English, 2013, class CDs

დამხმარე:

Malcolm Mann; Steve Taylor-Knowles _Destination B1 Updated for the revised FCE, Macmillan English, 2010